



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 117/ს
30/05/2022

117-21-4-202205300931



**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიმშიში საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიმშიში მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული მონაკვეთი მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, საფ. ხიმშიში, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე. აღნიშნულ უბანზე განვითარებული გვერდითი ეროზიული პროცესების შედეგად ირეცხება მდინარის ტერასა. წყალუხვობის პერიოდში მდ. რიონის კალაპოტი ივსება და იტბორება მიმდებარე ტერიტორიები, რაც საფრთხეს უქმნის მდინარის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ განთავსებულ საწარმოს. პროგრესირებადი ეროზიული პროცესების შესაჩერებლად და ავარიული მონაკვეთის სტაბილიზაციისათვის, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, 147 მეტრი სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-4709599.23, Y-349843.39 და X-4709580.43, Y-349697.46. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 97 მეტრით, ხოლო 26 მეტრში მდებარეობს საწარმოს ინფრასტრუქტურა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გაბიონი წარმოდგენილი იქნება 6,0×2,0×0.3 მ და 4,0×2,0×0.3 მ ზომის ლეიბებზე (142 ცალი) დაფუძნებული სამიარუსიანი კედლის სახით. კონსტრუქციისათვის გამოყენებული იქნება გაბიონის ყუთები (პარამეტრები: 2.0×1.0×1.0 მ და 1.5×1.0×1.0 მ მ). გაბიონის ყუთები და ლეიბი მოქსოვილი იქნება 2.7 მმ დიამეტრის მავთულისაგან და შეივსება რიყის ქვით.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. რიონის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. რიონის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 327 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 13390 კმ². სკრინინგის განცხადების თანახმად, 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 737 მ³/წმ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 6,65 მ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება: ექსკავატორი, ბულდოზერი, ბორტიანი მანქანა, ამწე და 4 ცალი ავტოთვიტმცლელი. სამუშაოების განხორციელებისას სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირსამაგრი სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე საჭირო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების მობილიზება. შემდგომ განხორციელდება გაბიონის კედლის საძირკვლის დამუშავება ბულდოზერით, ექსკავირებული გრუნტის ადგილზე დაყრა, ადგილზე დაყრილი გრუნტის დაპროფილება და გაბიონის კონსტრუქციის განთავსება. საპროექტო გაბიონის უკან მოწყობა ნაყარი დამბა, რომლის საპროექტო მოცულობა, პიკეტური უწყისის მიხედვით, იქნება 650 მ³. ნაპირდაცვითი სამუშაოების დასრულების შემდგომ დემობილიზებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია. ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება ტექნიკა/სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 4 თვის განმავლობაში და დასაქმებული იქნება 10-15 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (4 თვე) გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ავტოტრანსპორტის და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი; მოძრაობის სიჩქარის 35 კმ/სთ-მდე შეზღუდვა; სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი; მასალების სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის და გადმოტვირთვის სიმაღლეების შეზღუდვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ავტოტრანსპორტი და სამშენებლო ტექნიკა. საპროექტო სამუშაოების განხორციელებისას ერთდროულად იმუშავენ 3-4 ერთეული ტექნიკა, რომელთა ხმაურის ჯამური დონე არ იქნება 90 დბა-ზე მეტი. ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ძლიერი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, საქმიანობის მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. რიონისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების შემდგომ შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკები, რაც დადებითად აისახება იქტიოფაუნაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებითა და ზეთებით დაბინძურებული ჩვრები და ა.შ) დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. მდ. რიონის ძირი და კალაპოტი წარმოდგენილია ალუვიური-მდინარეული მასალით - კაჭარ-კენჭნარით, ქვიშნარისა და თიხნარის შემავსებლით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ხე-მცენარეული საფარი და ძირითადად ფიქსირდება ერთწლიანი ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეები. საპროექტო მონაკვეთი აგებულია ალუვიური მასალით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. მაღალი ანთროპოგენური დატვირთვისა და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო დერეფანში ასევე არ შეინიშნება ფაუნის წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატი. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიმშიში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო